



ბიოლოგიური საქმიანობის

ბ. ს. უნივერსიტეტის
10 დღიური ოჯახი
რედაქცია: ტფილისი, უნივერსიტეტის ქუჩა № 1
(უნივერსიტეტის შენობა)
ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერი

- ახალი სასწავლო წლის ამოცანები
- ფირდოუსის ცხოვრება და მოღვაწეობა
- ქართველ კლასიკოსების შესწავლისათვის
- სოც-შეჯიბრება-დამკვრელობის შედეგები და მორიგი ამოცანები.

სწავლა უკვე დაიწყო, ყველა თავის ადგილზე

ახალი სასწავლო წლის ამოცანები

ტფილისის სახ. უნივერსიტეტში მოკლე დროის განმავლობაში შეძლო სასწავლო-მეცნიერული მუშაობის სწორ კალაპოტში ჩაყენება.

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისა და პარტიული ორგანიზაციის ენერგიული ბრძოლის შედეგად, სასწავლო პედაგოგიური პროცესის სწორი ორგანიზაციის გზით, გასულ სასწავლო წლის გეგმები გადაჭარბებით შესრულდა (100,91%) სტუდენტთა აკადემიური წარმატების საშუალო წლიური ნიშანი 402 უდრიდა.

სწორ გზაზე დაყენებული სასწავლო-პედაგოგიური პროცესი, სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისა და კათედრების ხაზით მწყობრად მეცნიერული მუშაობა, გამომცემლობა საკუთარი პოლიგრაფიული ბაზით, მდიდარი მეცნიერული ბიბლიოთეკა, მკვიდრ ნიადაგზე დაყრდნობილი ახალი მშენებლობა, ახალი ხელმძღვანელ-მეცნიერული კადრების მომზადების მოგვარება (ასპირანტურა), მეცნიერულ პედაგოგიურ ძალთა დარაზმულობა და სტუდენტობის კულტურულ აღმზრდელი მთავარი პირობების დარგში პირველი ნაბიჯები ასეთია ის მიღწევები, რომლითაც უნივერსიტეტი ხვდება ახალ სასწავლო წელს.

მაგრამ აღნიშნულ მიღწევებთან ერთად უნივერსიტეტის მუშაობას ახლავს მთელი რიგი დეფექტებიც. კათედრებმა ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნეს საბოლოოდ თავიანთი მუშაობა.

ვერ არის საკმაოდ გაშლილი მეთოდური მუშაობა და არ აქვს მას ღრმა სამეცნიერო კვლევითი ხასიათი მიღებული.

დისციპლინა ჯერ კიდევ არ არის მტკიცედ დამკვიდრებული, სტუდენტთა კულტურულ აღმზრდელი მთავარი მომსახურება ჯერ კიდევ რჩება ჩვენი მუშაობის ვიწრო ადგილად და სხვ.

ახალი სასწავლო წელი უნდა გადაიქცეს მიღწეულ გამარჯვებათა განმტკიცების, აღნიშნულ დეფექტების აღმოფხვრისა და სწავლების მაღალი ხარისხისათვის გადამწყვეტ ბრძოლის წლად. უმაღლესი სასწავლებლები, 19/IX 1932 წ. დადგენილების საფუძველზე ენერგიული ბრძოლის შედეგად მიმდინარე სასწავლო წელს. თავიანთი განვითარების ახალ სტადიაში შევიდნენ. აღნიშნულ დადგენილებამ მისცა რა სწორი შეფასება უმაღლეს სასწავლებლებში შექმნილ მდგომარეობას, დასახა სწორი ღონისძიებანი დეფექტების, შეცდომების, გადახრების აღმოსაფხვრელად და მაღალი კვალიფიკაციის ბოლშევიკური კადრების გამოსაქედად გამოიწვია უმაღლესი სასწავლებლების ნამდვილი ლაშქრობა სასწავლო პედაგოგიური პროცესის სტაბილობისათვის და ბოლშევიკური კადრების მომზადების უფრო მაღალ საფეხურზე აყვანისათვის. ამრიგად ამ დადგენილებამ მოუწია ნიადაგი უმაღლეს სასწავლებლებს შემდგომ, უფრო მაღალ საფეხურზე გადასვლისათვის.

მიმდინარე სასწავლო წელი უნდა გადაიქცეს ამ ახალ საფეხურზე გადასვლის უკანასკნელ მოსამზადებელ გადამწყვეტ წლად. მიზნობრივი მიღწევების განმტკიცება, არსებულ დეფექტების აღმოფხვრა, მომავალ სასწავლო წელში უფრო მაღალ საფეხურზე გადასვლისათვის ყოველმხრივი პირობების მომზადება, სწავლებისა და სამეცნიერო მუშაობის კიდევ უფრო დაკავშირება და გაღრმავება, იდეოლოგიურ ფრონტზე მუშაობის გაშლა საერთოდ ბრძოლა მაღალი ხარისხობრივ მაჩვენებლებით. სასწავლო წლის ძირითადი ამოცანაა.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ყველა პირობა აქვს ამ ამოცანების გადაწყვეტისათვის, საჭიროა მხოლოდ საქმის ბოლშევიკური ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა.

უნივერსიტეტის წინადადებები

პროფ. უ. ნუსუბაძე

ბ. ს. უ. ბიბლიოთეკა

განვილილი წლის განმავლობაში უნივერსიტეტის მუშაობის ნორმალურ გაშლას აბრკოლებდა

1. სტუდენტთათვის სამკითხველო დარბაზის სიმცირე.
2. მეცნიერ-თანამშრომელთათვის სამუშაო ოთახის უქონლობა.
3. საცნობარო და ბიბლიოგრაფიული განყოფილების უბინაობა.
4. თარგმანის აგების დაუთავრებლობა.

აღნიშნული ოთხი მომენტი წარმოადგენს გადაუდებელ და აუცილებელ მოთხოვნას ბიბლიოთეკის მუშაობის დამაკმაყოფილებლად გაშლისათვის მიმდინარე წელს.

პროფ. ა. ჯავახიშვილი

გეოგრაფიის კათედრა

1. გამოიყოს სპეციალური აუდიტორია გეოგრაფიული დისციპლინის ჩასატარებლად.
2. გამოიყოს სპეციალური ოთახი ლაბორატორიის მოსაწყობად გეოგრაფიულ დისციპლინაში სტუდენტთა მუშაობისათვის.
3. მიემგროს ორი ახალი ლაბორანტი კათედრასთან.
4. გამოწერილი იქნეს საზღვარგარეთიდან გეოგრაფიული ლიტერატურა.
5. შექმნილ იქნეს 300 მეტრი ქსოვილი რუკების დასაკვრელად.

დოც. ი. ჭურღიანი

მეტეოროლოგიური სადგური

1. ვინაიდან მეტეოროლოგიურ სადგურზე მუშაობა იწარმოებს მთელი დღე-ღამის განმავლობაში, საჭიროდ მიმაჩნია გამოიყოს სტანდარტულ ფიცრულ სახლიდან (ხევის პირას) ერთი ოთახი მორიგების დასასვენებლად.
2. დროზე გაყვანილ იქნეს სინათლე მეტეოროლოგიურ სადგურში.
3. მეტეოროლოგიურ სადგურის საჭიროებისათვის სამუშაო ოთახში გაყვანილ იქნეს ტელეფონი (გეოფიზიკის კაბინეტში).

პროფ. ს. დანელია

რუსული ლიტერატურის კათედრა

უნივერსიტეტში რუსული ლიტერატურის შესწავლის გაუმჯობესებისათვის საჭიროა შემდეგი უახლოესი ზომების მიღება:

- 1.) რუსული ლიტერატურის კაბინეტის შექმნა.
- 2.) რუსული ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელოს გამოშვება ქართულ ენაზე.
- 3.) რუსული ლიტერატურის ისტორიული ქრესტომატიის დაბეჭვდა.
- 4.) პერიოდული ლიტერატურის გამოწერა და მიმდინარე ლიტერატურის შესაძენად განსაზღვრული ფონდის შექმნა.

დოც. ვ. გურჯია

გერმანული ენა

1. გამოიყოს ისეთი სახელმძღვანელოები, რომელიც მოგვცემს ტექსტთან დაკავშირებით, ეტიმოლოგიურ-სინტაქსურ წესების გარდა ფართო ქრესტომატულ მასალას, როგორც თანამედროვე ცხოვრებიდან აგრეთვე წარსულიდან.
- სახელმძღვანელო მხედველობაში უნდა იღებდეს შემსწავლელის სამშობლო ენის სტრუქტურის თავისებურებას.
2. თითოეულმა სტუდენტმა უნდა იქონიოს სახელმძღვანელო, რათა მან იმეცადინოს არა მარტო ლექციებზე, არამედ წიგნის საშუალებით უნდა შეძლოს შეასრულოს ხელმძღვანელის სისტემატური წერილი და ზეპირი დავალებები სახლში.
3. საათების რიცხვი ექვსდღეურში უნდა იყოს არა ორი არამედ ოთხი.
4. სტუდენტს უნდა მიეცეს სახლში სისტემატური მუშაობის საშუალება (განტვირთვა, ყოფა ცხოვრებითი პირობების გაუმჯობესება და სხვ).
5. მოეწყოს ევროპულ ენების კაბინეტი სათანადო ლიტერატურით.
6. მოისპოს ევროპულ ენების შეუფასებლობა ზოგიერთების მიერ. (არ დაინიშნოს ლექციები ტირში, არ მოვაქციოთ ლექციები უკანასკნელ საათებში აიკრძალოს სუსტი ნიშნის სტუდენტის გადაყვანა შემდეგ კურსზე და სხვ).
7. ევროპულ ენების მასწავლებლების მუშაობის პირობები კიდევ უფრო უნდა გაუმჯობესდეს.

პროფ. ი. ბერიტაშვილი

ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრა

ბიოლოგიის ინსტიტუტი აწარმოებდა კვლევა-ძიებას ორი მიმართულებით: ფიზიოლოგიაში და ქვევითმეცნიერებაში. ფეხბურთელებთან და ნერვულ კანონზომიერებათა დადგენას, რომელთა მიხედვით სწარმოებს ერთის მხრივ ორგანოთა მუშაობა და მეორის მხრივ მთელი ორგანიზმის შეგუება გარემოსადმი, ე. ი. ქცევის აქტები. ამას გარდა, ინსტიტუტი აწარმოებდა ბიოქიმიურ და პისტოლოგიურ ლაბორატორიებს, რომ შესაძლებელი გამხდარიყო როგორც კვლევით მუშაობის, ისე სწავლების წარმოება ამ დარგებში.

ჩვენ მუშაობაში პირველ ყოვლისა ხელს გვაშლიდა ის გარემოება, რომ შეუძლებელი იყო სათანადო თანხების დროზე მიღება და გადარიცხვა. ჩვენს თანამშრომლებს დიდი დროსა და ენერგიის დახარჯვა უხდებოდა, რომ შეკვეთილი ნივთები თავის დროზე გამოგვეყიდა.

მეორე ხელშემშლელი მიზეზი იყო სტამბის ამუშავება ლაბორატორიის ქვეშ. მისი მანქანების მუშაობა იწვევს ლაბორატორიის კედლების რყევას და ეს შეუძლებელს ხდის სიმის გალვანომეტრზე მუშაობას. ამის გამო, რამდენიმე გამოსაკვლევი საკითხი, რომელიც გეგმაში იყო შეტანილი, გამოუკვლეველი დარჩა.

მესამე ხელშემშლელ მიზეზად უნდა დავასახელოთ ლაბორატორიაში არსებული აუტანელი სიცივე (საშუალო t° უდრიდა 4-5°-ს), ცენტრალური გათბობის მოუწყობლობის გამო. გარდა იმისა, რომ ექსპერიმენტატორისათვის შეუქლებელი იყო ამგვარ სიცივეში საათობით ჯდომა, თვით ექსპერიმენტის საწარმოებლადაც აუცილებელია, რომ ნორმალური ტემპერატურა მუდმივად იქნეს დაცული.

მეოთხე ხელშემშლელი პირობა იყო ჩვენი უკვე დამუშავებული და გაფორმებული შრომების გამოუცემლობა. ჩვენ უნივერსიტეტის სტამბას გადავეცით დასაბეჭდად ექსპ. ბიოლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული, რომელიც ოც სასტამბო ფორმას შეიცავს. ამრიგად, სტამბის გახსნისას დაბეჭდეს მხოლოდ ერთი ფორმა ამ კრებულისა, მაგრამ შემდეგ ბეჭდვა შეაჩერეს და დღესაც არ განუახლებიათ.

„მხოლოდ კაცობრიობის მთელი განვითარებით შექმნილ კულტურის ცოდნით მხოლოდ მისი გადამუშავებით შეიძლება პროლეტარულ კულტურის აშენება“ ლენინი

დოც. ალ. ბარამიძე

ფირდოუსის ცხოვრება და მოღვაწეობა

ფირდოუსი სპარსეთის უდიდესი პოეტია, ჰომეროსისა და რუსთაველის ძალის ოსტატი, ღირსეულად რომ დაიკავა მსოფლიო ლიტერატურის პანთეონში საყოველთაოდ მიჩნეული გენიოსის ადგილი. ფირდოუსი იყო თავის დროისათვის მოწინავე მხატვარი-მოაზროვნე და ოფიციალური მმართველი წრეებისაგან დევნილი პირი. მის შემოქმედებაში სამაგალითო მხატვრული სიმკვეთრით იდებურ სიღრმით და ემოციური სიცხველით აისახა ფეოდალური სპარსეთის, კერძოდ X—XI საუკუნეთა სპარსეთის მთელი ნაციონალური კულტურა. მაგრამ ფირდოუსის მნიშვნელობა ოდნავ არ იფარგლება ნაციონალური ნაჭუჭით და დღეს ეს სპარსელი პოეტი სრულიად სამართლიანად მიჩნეულია „ყველა დროთა და ხალხთა უდიდესი პოეტად“.

ფირდოუსი დაიბადა ჩვენი წელთაღრიცხვით 934 წელს შედარებით ხელმოკლე მემამულის ოჯახში. ზოგიერთი ცნობებით ის უნდა ყოფილიყო უბრალო მებაღის შვილი. ყოველ-შემთხვევაში თვითონ პოეტი არა ერთგვან მოგვითხრობს თავის სიღატაკეზე, უძღურებაზე და გასაჭირზე. დიდი ვაი-ვაგლახით მოუხერხებია ფირდოუსს ხელმძღვანელ საკარო წრეებთან დაახლოვება, სხვანაირად კი იმ დროს შეუძლებელი იყო სამწერლო ასპარეზზე დაწინაურება და, მით უმეტეს, კარგი სახელის მოხვეჭა. ბიოგრაფები გადმოგვცემენ, რომ სასახლის არისტოკრატ პოეტთა თავად უნსურის პირველ შეხვედრისას უთაკილია კიდევ პროვინციელი ფირდოუსის სოფლური გარეგნობა და პოეტურ შეჯიბრებაში გაუწვევია გამოსაცდელად. მაგრამ მანამდის უჩინარ ამ პროვინციელს მძიმე გამოცდა წარმატებით დაუტყრია და სპარსულ ნაციონალურ გადმოცემათა მხატვრული დამუშავება უკისრია. 35 წლის ინტენსიური შემოქმედებითი მუშაობის ნაყოფად ფირდოუსს ბრწყინვალედ დაუშთავრებია თავისი თხზულება 1010 წელს, უწოდებია მისთვის „შაჰ-ნამე“ (რაც ნიშნავს „მეფეთა წიგნს“) და სპარსეთის იმდროინდელი გამგებლის, მაჰმუდ ლანგულისათვის (998—1030) მიუძღვნია, სხვათა შორის, ჯილდოს იმედით. საკარო პირობების შესაფერისად პოეტს შეუთხზავს მაჰმუდის ზვიადი ხოტბაც და ტექსტის წინასიტყვაობაში ჩაურთავს.

„შაჰ-ნამე“ უკვდავყო ფირდოუსი, მაგრამ ამასთანავე საბედისწერო როლიც ითამაშა იმის ცხოვრებაში. „შაჰ-ნამე“ წარმო-

დგენს უზარმაზარ თხზულებას, რომელიც მოცულობით ოცჯერ მეტია „ვეფხისტყაოსანზე“. იქ აწერილია ძველ მეფეთა და გმირთა ამბები უხსოვარ დროიდან. ეს ძველთაძველი ამბები თანდათანობით გადადის ნამდვილ ისტორიულ ამბებშიც. ბოლო ნაწილში ავტორს მოთხრობილი აქვს არაბების შემოსევა და სპარსეთის მძლავრობით დაპყრობა. ამ ვეებერთელა თხზულების (რომელიც დაახლოვებით 120.000 სტრაქონი ლექსისაგან შედგება) იდებურ სარჩულად ფირდოუსს აღებული აქვს კეთილისა და ბოროტი საწყისის, ორმუხდისა და აპრიმანის, ურთიერთ ბრძოლის საკაცობრიო მოტივი. ეს მოტივი ავტორს სჭირდება თავისი კონკრეტ ისტორიულ-სოციალური თვალსაზრისის ნათელსაყოფად. ფირდოუსი ნაციონალ-პატრიოტულ თვალსაზრისზე მდგომი მხატვარი-მოაზროვნეა. აქიდან გამომდინარე პოეტს კეთილი ძალის განსახიერებად ეხატება წინასილამური პერიოდის სპარსეთი (ერანი), ხოლო ბოროტ ძალად თურქობა (თურანი) მიაჩნია. ერან-თურანის (ანუ ძველი სპარსეთისა და მისი ისტორიული მტრების) მუდმივი შუღლი და დაუტყობელი ომი შეადგენს შაჰ-ნამეს ღერძს და საფუძველს. ამაზე აშენებული მითურ, თუ ისტორიულ მეფეთა და გმირთა მრავალრიცხოვანი ამბები. ფირდოუსი აქებს და აღიღებს ერანელების ყოფა-ცხოვრებას, ზნეჩვეულებას, ძველ წარმართულ (მაზდეანურ) სარწმუნოებრივ წარმოდგენებს და მისთანებს. სამაგიეროდ მიწასთან ასწორებს ერანელთა ყველა მტრებს, კერძოდ თურანელთ, ყოველგვარ ბიწიერებას და ბოროტებას ამათ მიაწერს. ამრიგად, კეთილისა და ბოროტი ძალის ბრძოლაში ფირდოუსმა მოსწრებულად და ნათლად გამოხატა მაშინდელი სპარსეთის ნაციონალური ზრახვები. აღსანიშნავია, რომ სპარსეთის ფირდოუსის დროს დაკარგული ჰქონდა პოლიტიკური დამოუკიდებლობა და არც თუ კულტურული აღორძინების გზები ჰქონდა გახსნილი. ქვეყანას თურქობა ბატონობდა. მოძალადე და სპარსელებთან შედარებით გაუნათლებელ თურქებს მეთაურობდა ზევით აღნიშნული მაჰმუდ ლანგუელი, რომელიც ამასთანავე იყო ფანატიკოსი მუსულმანი. ცხადია, თავისი იდებური მიმართულებით „შაჰ-ნამე“ ვერ აამბებდა ვერც ორტოდოქსალურ სუნიტურ სამღვდლოებს და ვერც მაჰმუდ ლანგუელს, რომელმაც იმავე მუსულმა-

ნურ-სუნიტური ნიღაბით მუსრი გაავლო სპარსელ ხალხს. საკუთარი გამჭირაობით, თუ რეაქციონურ მუსულმანური წრეების დაბე-



სიტყვით სამოთხედ შემქნია მთელი სამყარო, ამაზე უწინ სიტყვის სანერგე არვის ჩაურგავს. თქმა არ უნდა, რომ სიტყვის მფენელნი ბევრნი ყოფილან, მრავალთ-უმრავლეს შეუზომია სიტყვის კონები, ამგვარი რაზე აბა იმათგან თუ ვინმეს უთქვამს?!

კეთილ-ნაშენი სასახლეები გავერანდება
წვიმების თქემით და მზის მცხუნვარებით;
ლექსით ავიგე ვეება კოშკი,
ვერც წვიმა ავებეს, ვერც ქარიშხალი.
საუკუნეთა სრბოლას გაუძლებს ეს ჩემი წიგნი,
ყველა მიკითხავს, ვისაც ექნება გონება სალი.

მართლაც და საოცარ იდებურ სიღრმესთან ერთად, „შაჰ-ნამე“ სანიმუშოა თავისი ფორმალურ-მხატვრული სისრულით და დახვეწილი პურიტული სტილით. ამასთანავე ფირდოუსის სტილს ახასიათებს დიდ ოსტატური კლასის სიხდავე და უბრალოება. განსაკუთრებით საინტერესო საკითხავი ხდებოდა „შაჰ-ნამე“ თავისი ზე-როიკული სულით. ფირდოუსი საუცხოვო კეთილზმოვანი ლექსებით უმღერის ვაჟკაცობას, გულადობას, მამაცობას, ზნეობრივ სისპეტაკეს და საერთოდ ყველა იმ თვისებებს, რომლებითაც უნდა უხვად იყოს შემკობილი ნამდვილი კეთილზმობილი ფალავანი-რაინდი. სამაგიეროდ პოეტი კიცხავს ლაჩრობას, სულმდაბლობას, უნამუსობას, უსამართლობას, ძალმომრეობას და მისთანებს. სანაქებო ფალავნებად გამოყვანილია „შაჰ-ნამეში“ როსტომი, ზურაბი, ზაალი, სპანდიერი, საამი, გოდერძი, გივი, ბეჟანი და სხვები. განსაკუთრებით გამოირჩევა თხზულების უმთავრესი

ზღებით მაჰმუდის ფირდოუსი მიუჩნევია შიიტობის მაღიარებელ მწვალებლად, ცინიზმით სავსე დამამცირებელი საჩუქარიც გადაუგდია გენიალური პოეტისათვის და თანაც სიკვდილით დამუქრებია. ფირდოუსს გაბედულად მიუღია ეს გამოწვევა, მიღებული ჯილდო დემონსტრატულად გაუყვია აბანოს მსახურსა და ლუდის გამყიდველს შორის და სასწრაფოდ გარდახვეწილა. უცხოობაში ფირდოუსს შეუთხზავს შესანიშნავი „სატირა მაჰმუდ ლანგუელზე“, სადაც გესლიანად ამხელს მაჰმუდის უმადურობას, სიძუნწეს, ვერაგობას. დასცინის მაჰმუდის უგვარობას (მაჰმუდი ჩამომავლობით იყო უგვარო, ნასყიდი მონა-თურქის შვილი) და უკუტურთობას, უკან მიაქვს „შაჰ-ნამეს“ მიძღვნა და თავმომწონედ აღნიშნავს თავის დიდ დამსახურებას სპარსული ლიტერატურის წინაშე:

სიტყვით სამოთხედ შემქნია მთელი სამყარო, ამაზე უწინ სიტყვის სანერგე არვის ჩაურგავს. თქმა არ უნდა, რომ სიტყვის მფენელნი ბევრნი ყოფილან, მრავალთ-უმრავლეს შეუზომია სიტყვის კონები, ამგვარი რაზე აბა იმათგან თუ ვინმეს უთქვამს?!

გმირი, მძლეობა-მძლე როსტომი (აქიდან წარმოდგება „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების სახელწოდება „როსტომიანი“). ფირდოუსი დიდი სიყვარულით და დიდი მხატვრული ოსტატობით ხატავს ამ გმირებს და მათ საარაკო თავგადასავალს. საგმირო-სარაინდო და სამიჯნურო ამბები ფირდოუსს მოთხრობილი აქვს იშვიათი მიმზიდველობით. ამიტომაც „შაჰ-ნამე“ არაჩვეულებრივად გავრცელებულ აღმზრდელობით წიგნად ითვლებოდა ფეოდალურ საზოგადოებაში და უდიდესი გავლენაც მოახდინა როგორც მშობლიურ მწერლობაზე, ისე მთელი მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა ლიტერატურულ ცხოვრებაზე. არაჩვეულებრივად დიდი იყო ფირდოუსის მნიშვნელობა კერძოდ ქართული მწერლობისათვის. და აი ეს გამოჩენილი მწერალი დევნასა და ვიწროობაში ატარებდა თავის ცხოვრების დღეებს. სხვათა შორის, უცხოობაში შეუთხზავს რომანტიკული პოემა „იოსებ-ზილიხანიანი“. უკანასკნელად

ფირდოუსი თითქოს კვლავ თავის მშობლიურ ქალაქს დაბრუნებია და იქვე გარდაცვლილა ღრმად მოხუცი 1020/21 თუ 1025/26 წელს. პოეტი დაუსაფლავებიათ თავის საკუთარ ბაღში, ქალაქ გარედ, რადგან მუსულმანურ სამღვდლოებს საერთო სასაფლაოზე მისთვის, როგორც მწვალებლისათვის, ადგილი არ მიუცია.

ლიტ. კრონიკა

13 სექტემბერს, ფირდოუსის დაბადებიდან 1000 წლის შესრულებასთან დაკავშირებით ტფილისში გაიხსნა გამოფენა „ფირდოუსი და საქართველო-სპარსეთის ურთიერთობა ლიტერატურასა და ხელოვნებაში“. გამოფენაზე თავმოყრილია შაჰ-ნამეს თარგმანის ქართული ხელნაწერები.

სპარსეთის უდიდესი პოეტის ფირდოუსის დაბადებიდან 1000 წლის შესრულებასთან დაკავშირებით 14 სექტემბერს, დღის 1-ლ საათზე მწერალთა სასახლეში მოეწყო საქართველო-სპარსეთის ურთიერთობაზე გამოგზავნილ სტუმრებთან, რომლებსაც მეთაურობდა ნაფისი: შეხვედრას დაესწრნენ მთავრობის წარმომადგენლები. შეხვედრა ჩატარდა საბჭოთა საქართველოსა და სპარსეთს შორის კულტურული კავშირის განმტკიცების ნიშნის ქვეშ.

14 სექტემბერს ორჯონიკიძის სახ. ბაღში მოეწყო ფირდოუსის დაბადებიდან 1000 წლის აღსანიშნავი საიუბილეო საღამო, საღამო გახსნა შესავალი სიტყვით აშხ. ფილიპე მახარაძემ. საღამოს ესწრებოდა სპარსეთის წარმომადგენელი პ.რ.შ. ნაფისი, რომლის სიტყვამ დამსწრეთა შორის უდიდესი აღტაცება გამოიწვია. სიტყვა წარმოთქვა აგრეთვე პროფ. შ. ნუსუზიძემ.

16 სექტემბერს სახ. უნივერსიტეტის დიდ დარბაზში მოეწყო ენის, ლიტერატურის, ისტორიისა და ხელოვნების ინსტიტუტის სამეცნიერო სესია სპარსეთის უდიდესი პოეტის ფირდოუსის 1000 წლის იუბილესთან დაკავშირებით. შესავალი სიტყვა წარმოთქვა პროფ. ლ. აღნიაშვილმა სესიამ მოიხმინა 5 მეცნ. მოხსენება: პროფ. აბუშამის, პროფ. კამალიძის პროფ. შანიძის, დოც. ალ. ბარამიძის და ინფორმაცია სესიას მიესალმა სპარსეთის კონსული თბილისში ბ-ნი ფაქ-ნაზარი.

კლასიკოსების კულტურული მემკვიდრეობა

„ჩვენ არა ნაკლებ გვესაჭიროება ინჟენერები, რომლებიც აშენებენ ადამიანის სულს. თქვენ მწერლებო, ადამიანის სულის მშენებელი ინჟენერები ხართ“ სტალინი

გ. აბჯინიძე

ქართული ლიტერატურის კათედრა

ქართულ კლასიკოსების შესწავლისათვის

კლასიკური ლიტერატურული მემკვიდრეობის საკითხი საბჭოთა კავშირში დიდი ხანია ვასცილდა ლიტერატურათმეტყველების ვიწრო ფარგლებს და ფართო საზოგადოებრივ საკითხად გადაიქცა.

მარქსი და ენგელსი უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ მხატვრული ლიტერატურის კლასიკოსებს. „კაპიტალში“ მარქსი არა ერთგზის იხსენიებს კლასიკოსების სახელებს და განსაკუთრებით ბალზაკს, რომელიც მას უდიდეს მხატვრად მიაჩნდა და რომლისაგან სინამდვილის სწორ ასახვის შესწავლას ხშირად ურჩევდა სოციალისტ-მწერლებს.

მარქსს არათუ მისი დროის ლიტერატურული მემკვიდრეების გენიალური ფაქტები ქონდა დაუფლებული, არამედ ზეპირად იცოდა მთელი ადგილები ანტიური ლიტერატურის ძეგლებიდან.

ცნობილია თუ რა დიდი მხრუნველობით და სიყვარულით ეკიდებოდა ლენინი ლიტერატურულ მემკვიდრეობას. იგი მოითხოვდა არა მარტო რადიკალურად და დემოკრატიულად განწყობილ მწერლების ჩერნიშევსკის, ნეკრასოვის, შჩედრინის და სხვათა შესწავლას, არამედ უაღრესად აფასებდა ისეთ თავადუნაწურულ ლიბერალური მწერლის მემკვიდრეობას, როგორც იყო ტურგენევი.

ლენინმა მოგვცა ლიტერატურულ მემკვიდრეობის პრობლემის გენიალური გადაწყვეტა. იგი წერდა „მხოლოდ კაცობრიობის მთელი განვითარებით შექმნილ კულტურის ცოდნით, მხოლოდ მისი გადამუშავებით შეიძლება პროლეტარული კულტურის აშენება“.

ლიტერატურულ მემკვიდრეობის საკითხში ლენინური პრინციპების ნამდვილად გაცნობისათვის აუცილებელია ტოლსტოისზე მისი შესანიშნავი წერილების დაბეჯითებით შესწავლა. ამ წერილებში პროლეტარიატის დიდ ბელადს გენიალური სიმბავლით აქვს მიყენებული თავის თეორიული პრინციპები ლიტერატურის კონკრეტულ მასალაზე.

თუ რა დიდი სიყვარულით ეკიდება მხატვრული სიტყვის კლასიკოსებს მწერლობის დიდი მეგობარი ანს. სტალინი ეს ყველასათვის ცნობილია დღეს.

მხატვარი, როგორც არის ილია ჭავჭავაძე წარმოდგენილი იყო კრიტიკაში მხოლოდ თავის რეაქციონური ელემენტებით, ხოლო ილიას შემოქმედებას დადებითი მხარეები, მისი შეუღარებელი მხატვრული რესტატობა ხშირად იჩრდილებოდა ლანძღვა-გინების კარიანტელში.

23 აპრილის ისტორიული დადგენილების შემდეგ ჩვენში შექმნილმა ლიტერატურულმა მოძრაობამ რომელიც სწორი ბოლშევიკური გზით წარიმართა ს. კ. ბ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის უშუალო ხელმძღვანელობით და მხრუნველობით დიდად შეუწყო ხელი არა მარტო ქართული საბჭოთა მწერლობის შეუღარებელ აყვავებას, არამედ ქართული კლასიკური ლიტერატურული მემკვიდრეობის საკითხის სწორ გადაჭრასაც.

ანს. მაღაქია ტაროშელიძის მოხსენება ქართულ ლიტერატურაზე, რომელიც ასე წარმატებით ჩატარდა საბჭოთა მწერლების საკავშირო ყრილობაზე, უდიდეს იმპულსს წარმოადგენს ქართული კლასიკური მწერლობის შესწავლის საქმეში.

ისეთი საერთო ენტუზიაზმი და სიყვარული, როგორც დღეს ღვივის ქართული ლიტერატურის ირგვლივ, ჩვენს ისტორიას არ ახსოვს. საქართველოს კ. ბ. (ბ) ცეკას დადგენილება შოთა რუსთაველის გარშემო წარმოადგენს უაღრესი მნიშვნელობის ისტორიულ ფაქტს რომელსაც კიდევ მაღალ საფეხურზე აყავს კულტურული მემკვიდრეობის დაუფლების საკითხი.

ქართულ პროლეტარიატს შესწევს ძალა მეტი ცოდნით და სიყვარულით დაეუფლოს რუსთაველის გენიალურ ქმნილებას და ამოიკითხოს შივ ცხოვრების სიბრძნე, ვიდრე ეს ისტორიულ მანძილზე შეეძლოთ ექსპლოატატორულ კლასებს, რომლებიც „ვეფხვის ტყაოსანს“ ან მხოლოდ „სალადობოდ“ უცქეროდნენ ან და აუტოდაფეს უმართავდნენ, და თუ უწინ მხოლოდ კეთილშობილ სისხლის წარმომადგენლებს შეეძლოთ „ვეფხვის ტყაოსნის“ მზითვად გატანება, დღეს იგი ყოველი მშრომელის საკუთრებაა.

მე აღტაცებაში მომიყვანა მუშამ რომელიც ამხანაგებს გეგმის შესრულებაში აქეზებდა შოთას სიტყვებით: „სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოველსა მოხახვეჭელსა“ და მართლაც დღევანდელი ადამიანისათვის რა არის იმაზე უფრო

ძვირფასი „მოსახვეჭი“, ვიდრე საბჭოთა გმირის სახელის დამსახურება..

რა შესანიშნავად შეძლო საუკუნეების სიღრმიდან გადმოძახილმა რუსთაველის სიტყვებმა სოციალიზმის მშენებელი მუშის გრძობის გამოხატვა!

ამ ჟამად ჩვენში მეტად მწვავედ დგას მარქსისტულ-ლენინურად მოაზროვნე ლიტერატურის მკვლევართა აღზრდის საქმე.

აღსანიშნავია, რომ დღეს ქართული ლიტერატურის ისტორიის მდგომარეობა დიდად განსხვავდება რუსული ლიტერატურის პირობებისაგან. იმ დროს, როდესაც რუსული ლიტერატურის მთელი უზარმაზარი ფაქტიური მასალა სისტემაშია მოყვანილი და კლასიკოსებზე ოცეულობით დაითვლება მონოგრაფიები, — საქართველოში ძნელია მოიძებნოს ორიოდ მწერალი მთლიანად შეკრებილი და მეცნიერულად გამოცემული.

ასეთია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამკარების წინა პერიოდის უბადრუკი მემკვიდრეობა კლასიკოსების შესწავლა-გამოცემის საქმეში.

აღნიშნული სპეციფიკური პირობების გამო დღეს ქართულ ლიტერატურის ისტორიის მკვლევარს უხდება ორმაგი უზარმაზარი მუშაობის შესრულება: მან სისტემაში უნდა მოიყვანოს, როგორც ლიტერატურის, ისე საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების ფაქტიური მასალა, შეასრულოს ე. წ. „შავი სამუშაო“ და მეორეს მხრივ სისტემატიზირებული მასალა გააშუქოს მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურათმეტყველების ასპექტში.

მიუხედავად ამისა უკანასკნელ წლებში ქართული კლასიკური მხატვრული ლიტერატურის შესწავლა გამოცემის საქმე დიდი ნაბიჯით წავიდა წინ. ამ მხრივ განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის განსვენებულ პროფ. სიმონ ხუნდაძეს. მის მიერ ჩატარებულ მუშაობას, მნიშვნელოვანი შეცდომების მიუხედავად, ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობის მეცნიერულად დამუშავებისა და გამოცემის ხაზით—უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

მარტო უკანასკნელ 3—4 წლის განმავლობაში ჩვენი წიგნის ბაზარი გამდიდრდა ისეთი კლასიკოსების თხუზულებებით, როგორც არიან ე. ნინოშვილი (პირველი ორი ტომი) გ. წერეთელი (1 ტომი) ნ. ნიკოლაძე (პირველი ორი ტომი) ბესიკი, დ. გურამიშვილი,



უკანასკნელად „ვეფხვის ტყაოსანი“ და სხვ. ვასხელებ უმთავრესად მეცნიერულ გამოცემებს. მართალია ჩამოთვლილი გამოცემების მეცნიერულ-იდეოლოგიური დირექტული სხვადასხვა გვარია, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ტექსტის მეცნიერული დადგენით და კომენტარებით არც ერთი ჩვენი კლასიკოსი (განსაკუთრებით მე-18-19 საუკუნისა) არ გამოცემულა საბჭოთა ხელისუფლებამდე.

ამ ჟამად მიმდინარეობს მუშაობა მთელ რივ კლასიკოსების აკადემიურ გამოცემებზე (ნ. ბარათაშვილი, ალ. ჭავჭავაძე, გ. ერისთავი, დ. ჭონქაძე, აკ. წერეთელი და სხვ.);—გაგრძელდება გ. წერეთლისა და ნ. ნიკოლაძის თხუზულებათა გამოცემა და სხვ.

კლასიკური მემკვიდრეობის დაუფლების საქმის წინ წაწევას დიდად შეუწყო ხელი სახ. უნივერსიტეტთან ენის, ლიტერატურის, ხელოვნების და ისტორიის ინსტიტუტის („ელხი“) ჩამოყალიბებამ.

„ელხმა“ თავისი არსებობის მოკლე ხნის განმავლობაში დიდი მუშაობა გაშალა, როგორც ლიტერატურული მემკვიდრეობის შეგროვების და მეცნიერულად შესწავლა—დამუშავების მხრით, ისე გამოცემის ხაზითაც

თუ რამდენად სერიოზულსა და დიდ მუშაობას ატარებს „ელხი“ ლიტერატურული მემკვიდრეობის ათვისებისათვის თუნდაც ნათლად ამტკიცებს სახ. უნივერსიტეტში ამ დღეებში მოწყობილი ფირდოუსის სამეცნიერო სესია, რომელზედაც ქართულ-სპარსული ლიტერატურის დამოკიდებულების უმნიშვნელოვანესი პრობლემები იყო დამუშავებული.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ქართული მწერლობის წარსულის შესწავლაში ენიჭება „ელხის“ ორ-



ქართული კლასიკოსები
შოთა რუსთაველი
ნიკოლოზ ბარათაშვილი
ილია ჭავჭავაძე
აკაკი წერეთელი

განოს ურნალ „ლიტერატურულ მემკვიდრეობას“, რომელიც ანს. ლ. აღნიაშვილის რედაქტორობით გამოდის. ურნალში მოგაგრძელება იხ. 4 გვერდზე

სოც-შეჯიბრება დამკვეთების შედეგები და მორიგი ამოცანები

გასულ სამოსწავლო წლის პერიოდში სოც-შეჯიბრებაში ჩაბმულთა რიცხვი უდრიდა 481 კაცს, აქედან დამკვეთების ვალდებულება ნაკისრი ჰქონდა 296 კაცს. ჩაბმულთაგან იყო პარტივერ—კანდიდატი 72 კაცი. ა. ლ. კ. კ. წევრი 107 კაცი და უპარტიო 302 კაცი. ნაკისრი ვალდებულებანი გაამართლა 451 კაცმა, რომელთაგან 57 კაცი დაჯილდოებული იქნა ფულით, ხოლო 20 კაცი დასასვენებელი სახლის საგზურით.

მოწინავეთა და საუკეთესო კათედრებად ითვლებიან: 1. ბოტანიკის (ხელ. ამხ. ნ. კეცხოველი), 2. პოლიტეკონომიის (ხელ. ამხ. გ. კვიციანიძე), 3. საქონელმცოდნეობის (ხელ. ამხ. კ. მეგრელიძე), 4. საქ. ისტორიის (ხელ. ამხ. ფილიპე მახარაძე და ლ. ცინისთავი), 5. მსოფლიო ისტორიის (ხელ. ამხ. გ. ნათაძე), 6. პედაგოგიკის (ხელ. ამხ. შ. სიხარულიძე), 7. დასავლეთ ევროპის ლიტერატურის (ხელ. ამხ. შ. ნუცუბიძე), 8. სასურსათო ქიმიის (ხელ. ამხ. ვ. უზნაძე), 9. საბჭოთა სამართლის ზოგადი თეორიის (ხელ. ამხ.

ი. სურგულაძე), 10. სისხლის სამართლის (ხელ. ამხ. ვაჩიშვილი). 11. გაერთიანებული მათემატიკის (ხელ. ამხ. მუსხელიშვილი), სანიმუშო დამკვეთლებათ ითვლებიან პროფესორები: ლ. აღნაიშვილი, კ. სულაქველიძე, ლ. გოკიელი, გ. ნათაძე, კ. ბაქრაძე, გ. თავაძე, სურგულაძე, და სხვა; დოცენტები: კ. ჭკუახელი, გ. ჯანელიძე, ნ. კეცხოველი, გ. ძიგრაშვილი, კ. ანდრიაძე, ლ. ცინისთავი, შ. სიხარულიძე, ბ. რამიშვილი, პ. კობიძე და სხვ. ლექტორი-ილხელიანი ნატალია ასპირანტ-ასისტენტები: ა. ნუცუბიძე, ს. წერეთელი, ი. კვიციანიძე, შ. ქორიძე, მ. ჩიკვაძე, ი. ჯიბლაძე, ი. ვაბისონია, შ. ქინკლაძე და სხვ. ლაბორანტები: სამხონია ა. გვერდულიძე ი. კახაძე შ. და სხვ. ადმინისტრაციული: გასვიანი. ა. ბიწაძე ნამიჩივიშვილი მ. ბერძენიშვილი შ. გ. ბეჩავა გ. და სხვ. ლიტერატორები: ეფემკინი, ფილიპოვი, ცვიკინიძე, კვინტრაძე, ოზარელი, და სხვ.

ფართოდ იქნა გაშლილი საკვლეო და პოპულარული მეცნიერული ხასიათის მუშაობა უნივერ-

სიტეტის გარედაც. ტფილისის სხვა და სხვა საწარმოებსა და მუშათა კლუბებში. ამხ. ამხ. თავაძე, ბაქრაძის, ნათაძის, ნუცუბიძის, შანიძის, ჯავახიშვილის, ვასაძის, ნანეიშვილის, ახმეტელის, კანაძის და სხვათა მიერ წაკითხული იყო მოხსენებები კულტურული მშენებლობის და მეცნიერების დარგში ახალ მიღწევათა საკითხებზე. სოც-შეჯიბრება-დამკვეთების ნაზით დიდი მუშაობა ჩატარდა თვით სტუდენტთა მეცნიერული მომზადების ამბლებების დარგში.

ამჟამად ჩვენი მთავარი ამოცანა—გავამხვილოთ ყურადღება მეტი ორგანიზაციულობით მუშაობისაკენ და მომავალი სამუშაო გეგმის დახსენებისა და ჩამოყალიბებისაკენ, რომ ამით უფრო მაღალ საფეხურზე ავიყვანოთ შრომის სოციალისტური ფორმები.

რა და როგორ უნდა ვაკეთოთ.

ტფილისის სახუნტის მეცმუშაკთა და აღმ. ტექ. პერსონალის ადგილკომმა შეჯიბრება დამკვეთების შემოწმების შედეგად ვაითვალისწინა რა განვლილი მუშაობის დეფექტები, მიღებული იქნა მთელი რიგი მნიშვნელოვანი პრაქტიკული ღონისძიებები, რომელნიც საფუძვლად უნდა დაედოს მომავალ ჩვენს მუშაობას.

ფაკულტეტების მიხედვით გამოიყოფიან სოც-შეჯიბრება-დამკვეთების ვალდებულებათა სპეც. აღმრიცხველი, რომელნიც ფაკულტეტის საქუთხედებთან ერთად ყოველთვიურად მოაწყობენ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობის აღრიცხვას, ხოლო სემესტრში ერთხელ ვალდებულებათა შესრულების შეჯამებას.

პროფესორ-ლექტორთა სოც-შეჯიბრება დამკვეთობაში ვალდებულებათა გამართლების და მისი შეფასების კრიტერიუმად აღებულია: ა) წაკითხული ლექციათა ხარისხი, ბ) შრომების დაწერა და მისი ხარისხობრიობა, გ) რამდენი საჯარო და რა ხარისხის მოხსენება წაკითხა, როგორც უნივერსიტეტში, ისე მის გარედაც—საწარმოებსა და მუშათა კლუბებში, დ) რა საზოგადოებრივ დავალებას ასრულებს და როგორ, ე) როგორ ეხმარება აკადემიურად ჩამორჩენილ სტუდენტებს—იხილავს თუ არა სტუდენტთა მიერ ლექციებიდან და წიგნებიდან ჩანაწერს, ვ) ლეტულობს თუ არა მონაწილეობას საწარმოო თათბირების მუშაობაში (სხდომებზე სისტემატური დასწერება და საქმიან წინადადებათა შეტანა და სხვ.) გ) ხომ არ აქვს გაცდენები თ) ირიცხება თუ არა ნებაყოფლობითი ორგანიზაციის წევრად და რა მუშაობას აწარმოებს მასში.

საწარმოო თათბირების მუშაობის გარდაქმნის მიზნით ფაკულტეტების მიხედვით უნდა ჩატარდეს მონათესავე კათედრების გაერთიანება, სადაც საწარმოო თათბირების ხელმძღვანელად გამოიყოფა აქტიური დამკვეთი მეც-

მუშაკი. საწარმოო თათბირები თავის სხდომებს იწვევენ სისტემატურად ყოველ თვეში, ხოლო დანარჩენს საჭიროების მიხედვით. საწარმოო თათბირების მუშაობას არ უნდა აცდეს: სასწავლო საწარმოო გეგმების, სახელმძღვანელოების გამოცემის, სტუდენტთა დახმარების, შეჯიბრება-დამკვეთობის ასაღებ ვალდებულებათა განხილვის, უნივერსიტეტს გარედ მუშაობის არც ერთი საკითხი.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს კათედრებისა და საწარმოო თათბირების მუშაობაში ძირითად სახელმძღვანელოების ქართულ ენაზე გამოცემას სტუდენტთა მასის უზრუნველყოფის მიზნით.

საბრძოლო ამოცანად უნდა დაიხსოს სასწავლო ნაწილის, ფაკულტეტებისა და კათედრების ხაზით, რომ 1934/35 სამოსწავლო წლის დასასრულისათვის ძირითად მეცნიერულ მუშაკებზე მოდიოდეს ერთი მეცნიერული ხასიათის ნაშრომი მანც (თარგმნილი ან ორიგინალური).

ფაკულტეტების და კათედრების ყურადღების ცენტრში უნდა დადგეს სტუდენტთა სამეცნიერო წრეების ხელმძღვანელობის საქმე, არცერთი მოხსენება არ უნდა იკითხებოდეს სამეცნიერო წრეში თუ

ის წინასწარ არ იქნება განხილულ რეკონსტრუქციულ კათედრის მიერ დახმარებით და საფუძვლიანად უნდა გაიდაქმნას სტუდენტთა კათედრის მუშაობა, რათა იგი უზარუნებდეს სტუდენტობისადმი მეცნიერულ დისციპლინების ღირსეულად სწავლების საქმეს.

მნიშვნელოვან ყურადღებას მოითხოვს კათედრებისა და პროფესორ-ლექტორთა მხრივ სტუდენტთა მიერ შედგენილ კონსპექტების საჯარო განხილვა (ჯგუფობრივი თუ სპეციალურ კონფერენციის მოწვევით) გამოცდილებათა გაზიარების მიზნით.

საჭიროა სასწავლო ნაწილისა და სტუდენტობისათვის ხელმძღვანელთა მიერ, გადამკრედი ზომების მიღება ბიბლიოთეკის მუშაობის გაშლა-გარდაქმნისათვის და ბიბლიოთეკის საქმეა რაოდენობის სახელმძღვანელოებით მოსამარაგებლად.

გარდა ამისა ყოველ ფაკულტეტზე სისტემატურად უნდა ხდებოდეს ჩამორჩენილ სტუდენტთა აღრიცხვა და მათზე დახმარების აღმოჩენა—(კონსულტაციების მოწყობა, ზედმეტი საათების მიცემა, წარჩინებულ სტუდენტობაზე მიზაგება).

დ. მებკალიშვილი

ქართულ კლასიკოსების შესწავლისათვის (დასასრული)

თავსებული იქნება კლასიკური მე-მკვიდრეობა, როგორც მხატვრული შემოქმედების სფეროდან, ისე საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროდან. „ლიტერატურული მემკვიდრეობის“ გამზადებული პირველი ტომი უკვე გადაეცა წარმოებას.

ცალკე უნდა აღინიშნოს ქართულ ლიტერატურის ისტორიის შედგენის ცდები.

როგორც ცნობილია ქართული ლიტერატურის ისტორია წარმოადგენს ჩვენი იდეოლოგიური ფრონტის ყველაზე მეტად ჩამორჩენილ უბანს, რომელიც ჯერ კიდევ არ არის გაწმენდილი იდეალისტური და ნაციონალისტური ნარჩენებისაგან.

ქართული ლიტერატურის ისტორიიდან უკანასკნელ ხანებში გამოიკა პრფ. კ. კეკელიძის, დოც. მ. ზანდუკელის და დოც. ბარამიძის სხვადასხვა მოცულობისა და ხასიათის შრომები, რომლებიც თუმცა ლიტერატურათ მეტყველების ლენინური ეტაპის დღევანდელ ამოცანებს ვერ პასუხობენ, მაგრამ წარმოადგენენ ნაბიჯს წინ წინანდელ შრომებთან შედარებით აღნიშნულ დარგში.

საჭიროა გაიშალოს ფართო ბოლშევიკური, მეცნიერული, ამხანაგური კრიტიკა ამ შრომების გარშემო, რაც დიდათ წასწევს წინ ჩვენს ლიტერატურულ მეცნიერებას და შეუწყობს ხელს ავტორებს შემდგომ მუშაობაში.

რომ არ შევეხოთ ძველ ქართულ ლიტერატურას ჩვენში მარქსისტულად შეუსწავლელია შემოქმედება და აზროვნება, ისეთი მწერლებისა როგორცაა ილ. ჭავჭავაძე, აკაკი, გ. წერეთელი, ვაჟაფშაველა და

სხვები. აუცილებელია ილია ჭავჭავაძის თხუთმეულობათა ხელახალი სრული აკადემიური გამოცემა მარქსისტული კომენტარებით, რომ ნიადაგი შეიქმნეს ილია ჭავჭავაძის როგორც უდიდესი მხატვრის და მოაზროვნის შესწავლისათვის.

დღეს ლიტერატურათმეტყველი ვალდებულია თავისი მუშაობა დაუკავშიროს ჩვენი სოციალისტური აღმშენებლობის ამოცანებს, შეისწავლოს მასების მოთხოვნილებები და მისწრაფებები და ახალი სოციალური პროცესების შუქში დააყენოს კლასიკური მემკვიდრეობა; მხოლოდ ამ შემთხვევაში შესძლებს ის მემკვიდრეობიდან დღევანდელი მონათესავე საჭირო ელემენტების ამოკრეფას, კლასიკური შემოქმედებით დღევანდელი ცხოვრების განწყობიერებას.

ყოველივე ამისათვის საჭიროა ლიტერატურის ფრონტზე მომუშავე უნივერსიტეტის მეცნიერული ძალებისა და მწერლების უფრო მჭიდრო დაახლოვება, საჭიროა მწერალთა და მეცნიერთა გაერთიანებული დისპუტების გამართვა და მუდმივი კონტაქტი. ეს დიდათ შეუწყობს ხელს საერთო საბრძოლო ამოცანის გადაწყვეტას, რომელიც ლენინის გენიალური თეზაში გამოინახება: ხელმძღვანელობს მასებს!

მუშათა კლასი კანონიერი და ერთად ერთი მემკვიდრეა კაცობრიობის შემოქმედების ყველა მწვერვალებს.

უნივერსიტეტის მონაწილეობა ქალაქის გამწვანებაში

სახ. უნივერსიტეტის პარტიული ორგანიზაცია დროულად გამოეხმაურა ტფილისის კომიტეტის პლენუმის დადგენილებას ქალაქის გამწვანება—გატყვევების შესახებ.

მიმდინარე წლის 26 ივლისს სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის სხდომაზე დასახლებული იქნა კონკრეტული ღონისძიება ქალაქის გამწვანებაში უნივერსიტეტის მონაწილეობის შესახებ. გამოყოფილი იქნა კომისია ა. მ. კ. სულაქველიძის (თავმჯდომარე) ლეონიძის, ჩოღრაშვილის და კეცხოველის (ბოტანიკოსი) შემადგენლობით, რომელთაც დაევა ლათ, როგორც მოსამზადებელი მუშაობის ჩატარება, ისე გამწვანებისათვის საჭირო პრაქტიკული ხელმძღვანელობა.

რაი საბჭოს და გამწვანების ტრესტის გეგმით სახ. უნივერსიტეტმა უნდა დარგავს 750 ძირი ხე. სამეურლის თავმჯდომარის—ამხ. სულაქველიძის განცხადებით სანერგე ბაზასთან (ზუგდიდში) დადებულია ხელშეკრულება ნერგების შესაძენად. მაგრამ ხელშეკრულების გაფორმება კიდევ არ ნიშნავს ყველაფერს, საჭიროა დაუყონებლივ გადაერიცხოს სანერგე ბაზას ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, რომ დროზე ვიქნეთ უზრუნველყოფილი ნერგებით. სამეურლო ამ თავითვე უნდა მიიღოს ზომები გამწვანების ობიექტის გამოსაყოფად, რომ დროულად მიეცეს საშუალება სტუდენტობას ღირსეულად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება გამწვანების საქმეში.

ტფილისის კომიტეტის გადაწყვეტილების რეალიზაციისათვის იბრ-

ძვიან სხვა დაწესებულებანი და უმაღლესი სასწავლებლებიც.

სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის და პარტიული ორგანიზაციის ვალია ბოლშევიკურად იბრძოლოს ამ საქმის წარმატებით შესრულებისათვის.

მ. მახალაძე

ქ რ მ ნ ი კ ა

24 ოქტომბერს ტფილისში ჩატარდება დიდი ფიჭულტურული აღლუმი და მასობრივი ფიჭულტურული დღესასწაული.

ამ აღლუმში ტფილისის სახ. უნივერსიტეტი მიიღებს მონაწილეობას, ერთი დღის შემადგენლობით.

მასობრივ თავისუფალ ვარჯიშებისათვის მომზადდება 1000 სტუდენტი ვაჟთა და 300 სტუდენტი ქალთა შემადგენლობიდან.

გამოვიდა და იყიდა

1. კუკავაძე და ყიფშიძე—მატიკა და აკუსტიკა.
2. კ. ჭკუახელი—სასწავლო პედაგოგიური პროცესის ორგანიზაციისათვის.
3. ვოლკოვი—სამრეწველო კაპიტალიზმის ეპოქის სისხლის სამართალი.
4. 8. ყანაველი—ყვავილოვან მცენარეთა რვევის დროს სახმარი რვეული.
5. ი. ბოჭორიშვილი—მარქსი დანაშაულის და სასჯელის შესახებ.
6. ავტორთა კოლექტივი—მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის.

დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა.

1. ივ. ჯავახიშვილი—სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში IX—XIII საუკ.
2. შლიაპინიკოვი—სისხლის სამართლის წარმოშობა და განვითარება.
3. ალ. ბადრაიშვილი—ქ. ტფილისის მოკლე ისტორია (რუსულად)
4. ფირდოუსი—შაჰ-ნამე II ტ.

რედაქტორი: სარედაქციო კოლეგია